პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური

ბ / 0046 - 2024

18/01/2024

ქ. თბილისი

ბრძანება

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმებების (ინსპექტირება) 2024 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 40^2 მუხლის მე-3 პუნქტის და „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 2 მარტის №04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. თანდართული სახით დამტკიცდეს „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების 2024 წლის გეგმის ძირითადი მიმართულებები“ (დანართი №1).
2. თანდართული სახით დამტკიცდეს „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების 2024 წლის გეგმა“ (დანართი №2).
3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გეგმური ინსპექტირების დეპარტამენტმა და სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის დეპარტამენტმა, ამ ბრძანების დანართი №2-ით განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმების დაწყებამდე, შემოწმებისფარგლები განსაზღვრონ ამ ბრძანების დანართი №1-ით დამტკიცებული, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების 2024 წლის გეგმის ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით.
4. დაევალოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ადმინისტრაციული და ეკონომიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტს აღნიშნული ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

დანართი №1

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების
2024 წლის გეგმის ძირითადი მიმართულებები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ განსაზღვრული, 2024 წლის განმავლობაში განსახორციელებელი გეგმური შემოწმებების ძირითადი მიმართულებებია:

1. მიზნობრივი ჯგუფები:
ა) არასრულწლოვნები;
ბ) ახალგაზრდები;
გ) მიგრანტები;
დ) ქალები;
ე) ხანდაზმულები;
ვ) სოციალურად დაუცველი პირები;
ზ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
თ) ბრალდებული/მსჯავრდებული პირები.

2. სფეროები:
ა) შრომითი ურთიერთობები;
ბ) დისტანციური მომსახურება;
გ) თანამედროვე ტექნოლოგიები;
დ) სამედიცინო მომსახურება;
ე) ფარული საგამოძიებო მოქმედებები.

3. თემატიკა:
ა) მონაცემთა მოცულობა;
ბ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება;
გ) მონაცემთა სუბიექტის უფლებები;
დ) მონაცემების გასაჯაროება;
ე) მონაცემთა უსაფრთხოება;
ვ) საერთაშორისო გადაცემა;
ზ) მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე სუბიექტების სიმრავლე.

დანართი №2

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების 2024 წლის გეგმა

№	შემოწმების ობიექტი	შემოწმების ძირითადი მიმართულებები
	საჯარო სექტორი	
1	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	შრომითი მიგრანტების მონაცემთა დამუშავება; მონაცემთა ბაზები; შრომითი ურთიერთობები; მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე სუბიექტების სიმრავლე; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
2	სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო	დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი პირების მონაცემთა დამუშავება; შრომითი ურთიერთობები; მონაცემთა ბაზები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
3	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით მონაცემთა დამუშავება; მონაცემთა ბაზები; შრომითი ურთიერთობები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
4	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო	სოციალურად დაუცველი პირების მონაცემების დამუშავება; მონაცემთა ბაზები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე სუბიექტების სიმრავლე; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
5	ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	ელექტრონული სისტემის/პორტალის საშუალებით მონაცემების დამუშავება; არასრულწლოვნები; შშმ პირები; სოციალურად დაუცველი პირები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
6	3 (სამი) საჯარო სკოლა	ვიდეომონიტორინგი; არასრულწლოვნები; შრომითი ურთიერთობები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
7	2 (ორი) საჯარო სკოლა	დისციპლინური გადაცდომების შესახებ მონაცემების დამუშავება; არასრულწლოვნები;

		მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
8	2 (ორი) საჯარო რესურსსკოლა	სსსმ მოსწავლეების მონაცემების დამუშავება; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
9	2 (ორი) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი	ვიდეომონიტორინგი; არასრულწლოვნები; შრომითი ურთიერთობები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
10	სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული 2 (ორი) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	სასწავლო პორტალის საშუალებით მონაცემთა დამუშავება; მონაცემთა ბაზები; უსაფრთხოება; ახალგაზრდები; არასრულწლოვნები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები, პრინციპები ან/და უსაფრთხოება.
11	სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული 1 (ერთი) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	მონაცემების გასაჯაროება; ახალგაზრდები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
12	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია	განათლებასთან დაკავშირებული მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში მონაცემების დამუშავება; ახალგაზრდები; მონაცემების გასაჯაროება; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
13	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია	განათლებასთან დაკავშირებული მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში მონაცემების დამუშავება; ახალგაზრდები; მონაცემების გასაჯაროება; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
14	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია	სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში მონაცემთა დამუშავება; ხანდაზმულები; შშმ პირები; მონაცემთა ბაზები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
15	თელავის მუნიციპალიტეტის მერია	სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში მონაცემთა დამუშავება; სოციალურად დაუცველები; შშმ პირები; მონაცემთა ბაზები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
16	5 (ხუთი) მუნიციპალიტეტის მერია ან საკრებულო	მონაცემების გასაჯაროება; შრომითი ურთიერთობები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები, პრინციპები ან/და უსაფრთხოება
17	სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მონაცემთა დამუშავება; ქალები; სამედიცინო მომსახურება;

	ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	მონაცემთა ბაზები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
18	შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ (ს/ნ: 202886788)	ვიდეომონიტორინგი; მონაცემთა ბაზები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
19	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია	დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
20	სსიპ - შემოსავლების სამსახური	დამოკიდებულ პირთა სიასა და აკრძალულ პირთა სიაში ასახულ მონაცემთა დამუშავება; მონაცემთა ბაზები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე სუბიექტების სიმრავლე; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
	კერძო სექტორი	
21	კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ი ან/და ფიზიკური პირ(ებ)ი	ვებგვერდზე - https://giffer.ge მონაცემთა გასაჯაროება; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
22	3 (სამი) კერძო სკოლა	ვიდეომონიტორინგი; არასრულწლოვნები, შრომითი ურთიერთობები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
23	2 (ორი) კერძო სკოლა	დისციპლინური გადაცდომების შესახებ მონაცემების დამუშავება; არასრულწლოვნები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
24	3 (სამი) კერძო სკოლა	ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით მონაცემების დამუშავება; არასრულწლოვნები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
25	2 (ორი) კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	სასწავლო პორტალის საშუალებით მონაცემთა დამუშავება; მონაცემთა ბაზები; უსაფრთხოება; ახალგაზრდები; არასრულწლოვნები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
26	შპს „ბიემ სოფტი“ (ს/ნ: 405416848)	დასაქმების პლატფორმის - https://sfero.ge საშუალებით მონაცემთა დამუშავება; შრომითი ურთიერთობები; მონაცემთა ბაზები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
27		სახის ამომცნობი სისტემ(ებ)ის მეშვეობით მონაცემების დამუშავება; თანამედროვე

	ა(ა)იპ „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია” (ს/კ: 204420545)	ტექნოლოგიები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
28	1 (ერთი) კერძო სამართლის იურიდიული პირი	სახის ამომცნობი სისტემ(ებ)ის მეშვეობით მონაცემების დამუშავება; თანამედროვე ტექნოლოგიები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
29	სს „თიბისი ბანკი“ (ს/ნ: 204854595)	ცხელი ხაზის საშუალებით მონაცემთა დამუშავება; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
30	სს „პროკრედიტ ბანკი“ (ს/ნ: 204851197)	ცხელი ხაზის საშუალებით მონაცემთა დამუშავება; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
31	სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“ (ს/ნ: 205023856)	სამედიცინო მომსახურება; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები; მონაცემთა ბაზები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
32	სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი” (ს/ნ: 204426674)	სამედიცინო მომსახურება; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები; მონაცემთა ბაზები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
33	შპს „რედმედი“ (ს/ნ: 405341465)	დისტანციური მომსახურება; სამედიცინო მომსახურება; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
34	1 (ერთი) კერძო სამართლის იურიდიული პირი	სამედიცინო მომსახურება; არასრულწლოვნები; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები; მონაცემთა ბაზები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
35	1 (ერთი) კერძო სამართლის იურიდიული პირი	ვიდეომონიტორინგი; სამედიცინო მომსახურება; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
36	შპს „მრჩეველი“ (ს/ნ: 204954497)	ვიდეომონიტორინგი; სამედიცინო მომსახურება; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
37	შპს „სინევო საქართველო“ (ს/ნ: 204525736)	ვიდეომონიტორინგი; სამედიცინო მომსახურება; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.

38	2 (ორი) კერძო სამართლის იურიდიული პირი	ბიომეტრიული მონაცემები; დისტანციური იდენტიფიკაციის პროცესში მონაცემების დამუშავება; თანამედროვე ტექნოლოგიები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
39	სს „ზირაათ ბანკი საქართველო“ (ს/ნ: 404534170)	მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა.
40	სს „იშბანკი საქართველო“ (ს/ნ: 404496611)	მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა.
41	სს „ხალიკ ბანკი საქართველო“ (ს/ნ: 205236537)	მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა.
42	სს „პაშა ბანკი საქართველო“ (ს/ნ: 404433671)	მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა.
43	3 (სამი) კერძო სამართლის იურიდიული პირი	პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავება; მონაცემთა ბაზები; დიდი მოცულობის მონაცემები.
44	3 (სამი) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მფლობელი (თამაშობის ორგანიზატორი)	დამოკიდებულ პირთა სიასა და აკრძალულ პირთა სიაში ასახულ მონაცემთა დამუშავება; მონაცემთა ბაზები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
	სამართალდამცავი ორგანოები	
45	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“	სატელეფონო ზარების ჩანაწერების შენახვის ვადებისა და არქივირებისთვის მიღებული ზომების კანონიერების შესწავლა.
46	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია	არასრულწლოვანთა გამოკითხვის სპეციალიზებულ სივრცესა და მიმდებარე ტერიტორიაზე ვიდეო/აუდიომონიტორინგის კანონიერება.
47	საქართველოს პროკურატურა	არასრულწლოვანთა გამოკითხვის ვიდეო-აუდიო ფიქსაციის პროცესში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლა.
48	საქართველოს პროკურატურა	საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლა.
49	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	შინაპატიმრობის მონიტორინგის ელექტრონული სისტემის მეშვეობით მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლა.
50		სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართული მსჯავრდებულების შესახებ მონაცემების სხვა სახელმწიფო უწყებებისთვის გადაცემის

	სპეციალური პენიტენციური სამსახური	პროცესში მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლა.
51	სპეციალური პენიტენციური სამსახური	მსჯავრდებულთა რეფერირების ელექტრონულ ბაზაში აღრიცხულ, მათ შორის, ქალებთან, არასრულწლოვნებთან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომის კანონიერების შესწავლა.
52	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	გენერალური ინსპექციის მიერ დისციპლინური წარმოებისას, გამოსაკითხი პირების მონაცემების დამუშავების პროპორციულობის საკითხის შესწავლა.
53	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	გენერალური ინსპექციის მიერ დისციპლინური წარმოებისას, გამოსაკითხი პირების მონაცემების დამუშავების პროპორციულობის საკითხის შესწავლა.
54	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	კანდიდატებთან გასაუბრების პროცესში განხორციელებული აუდიომონიტორინგის ფარგლებში მონაცემთა დამუშავების კანონიერება.
55	სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო	გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის პროცესში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლა.
56	სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო	ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები პირების (კანდიდატების) მონაცემების დამუშავების კანონიერება.
57	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულების შესახებ ოქმების წარმოდგენის ვალდებულების შესწავლა.
58	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური	ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულების შესახებ ოქმების წარმოდგენის ვალდებულების შესწავლა.
59	სპეციალური საგამოძიებო სამსახური	თავისუფლებააღკვეთილი პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემების გამოთხოვის კანონიერების შემოწმება.
60	სპეციალური საგამოძიებო სამსახური	ცხელ ხაზზე შემოსული ზარების აუდიოჩანაწერების შენახვის ვადების შესწავლის კანონიერება.
61	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ადმინისტრაციულ შენობაში ვიდეო/აუდიომონიტორინგის განხორციელების კანონიერების შესწავლა.
62	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურში ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები პირების (კანდიდატების) მონაცემების დამუშავების კანონიერება.

ლელა ჯანაშვილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის
უფროსი